

## BASTA MORATTI

### ინტერნაციონალუბა პრეზიდენტი გადააბდუს

ვარდები არ ყოფილა, მაგრამ იყო მოწოდება — გადადექი! და გუშინ მილანის „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი გადადგა. მასთან ერთად თანამდებობები დატოვა დირექტორატის ოთხმა წევრმა — მარკო ტრონკეტი პროვერამ, პაოლო გიულინიმ, ანჯელო მაროი მორატიმ და ანჯელო მორატიმ. „ინტერის“ ფანთა ვულისწყრომა გასაგებია — 1989 წლის მერე გუნდს სკუდეტო ვერ მოუგია და ეს მიუხედავად იმისა, რომ მორატების გავლენიანმა და ფულიანმა ოჯახმა კლუბს მილიონობით დოლარი თუ ევრო დაახარჯა.

ამას დაერთო ამ ბოლო ხანს ანენილი საქმეებიც — გართულებული ურთიერთობები კრისტიან ვიერისთან, რომელიც სერია A-ს ბოლო ტურში „ემპოლისთან“ 0:1 წაგებულ მატჩში ალბერტო ძაკერონიმ სათადარიგო სკამზეც არ დასვა და მთლად უარესი: მისი შესაძლო გაყიდვის ამბავი.

დამნაშავე პრეზიდენტი მორატია! თქვეს ფანებმა და „სან სიროზე“ პლაკატები გამოფინეს — წადი, მორატი!

„ინტერს“ დღეიდან გუნდის ლეგენდა, დიდი იტალიელი ჯაჩინტო ფაკეტი უთავკაცებს.



## აგასი

ოზების ოუფენზე იმთავითვე მჩქეფარე ჩოგნაობა გახურდა და იმ ბობოლებს გვარებიც ჩამოიწერა, რომელთაც პირველივე ეტაპზე ნამარცხვეს შინ წასასვლელი ბილეთის დაუგეგმავად ადრე დაკვეთა მოუწევთ. კაცებში ყველაზე დიდებიდან სლემტიტულისთვის დავას დააკლდა შარშან მელბურნში ფინალამდე მისული რაინერ შუტლერი და კიდევ ბარე ათეული განთესილი მამრი. განთესილთა არა, მაგრამ გავარდნილთა შორის კია დიდ ჩოგბურთში დამკვიდრებული და თან ვერც დამკვიდრებული ერთადერთი ქართველი ირაკლი ლაბაძე, ვისაც პირველ და გადაულახავ მეტოქედ არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა შეხვდა.

ხოლო ქალებში პირველ წრეში გავარდნილთაგან მოსატანია რუსული წყვილი ელენა დემენტიევა (7) და ნადეჟდა პეტროვა (10). ამათზე ზემდგომი გოგონები ჯერჯერობით გოგოცუნებს არ ეჩაგვრინებიან. აგერ, თუნდ ჟუსტინ ენენი ვახსენოთ, ვინაც პირველი მატჩი ორი სეტის ჯამში 12:0 მოიგო.

REUTERS მელბურნიდან

შარშან ფინალისტი რაინერ შუტლერი წლეულს ძალიან ფშუტე გამოდგა

# ბედის ქარვასლა

## როცა ბიჭები იყიდებიან, ფხვანს ფულიანები კარნახობენ



პაპიაშვილი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კონტრაქტის გაფორმებას ხელს ის უშლის, რომ მხარეები ფინანსურ პირობებზე ვერ შეთანხმებულან. „ლოკომოტივის“ ეკონომიკურად უჭირს და, ბუნებრივია, სულის მოსათქმელად წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა საუკეთესო გამოსავალია, მაგრამ არც ჩალის ფასად ეთმობათ. „დინამო“ კი არ ჩქარობს და ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას საქმეს ოსტატურად აჭიანურებს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოსკოვიდან დაბრუნებული „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი უფრო აქტიურად შეეცდება ვაჭრობისგან დაღლილი ლოკომოტიველების დაყოფილებას რათა ივო შუშაკს დიდი ხნის ნანატრი ფეხბურთელი „დინამოს“ კვიპროსულ შეკრებაზე გააყოლოს, თუმცა ვეჭვობთ, ჩემპიონმა სირაძესთან დაკავშირებით შემუშავებული გეგმის ბოლომდე მიყვანა შეძლოს, მიზეზი, ბუნებრივია, ფულს უკავშირდება. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, დავით სირაძე ფაქტობრივად დაშლის პირას მისულ „ლოკომოტივში“ ერთადერთი ფეხბურთელია, მეტნაკლებად სარფიანი ტრანსფერისთვის რომ გამოდგება. გაურკვეველობაში მყოფი „ლოკომოტივის“ პერსპექტივა კი ძალზედ ბუნდოვანია. ბუნებრივია, ფაქტობრივად უპატრონოდ დარჩენილი რკინიგზელები ცდილობენ, თავიანთ ოქრობიჭუნა-

ში რაც შეიძლება მეტი მწვანე აიღონ. ამის შედეგია ის, რომ სირაძეს დღესდღეობით ჯიბეში გერმანული ვიზა უდევს. ითქვას, ფეხბურთელი მეორეხარისხიანი „უნიონში“ გადადისო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „უნიონი“ მზადაა, ქართველ ნახევარცენტრს კონტრაქტი გაუფორმოს. საქმე ის გახლავთ, რომ რკინიგზელები თავად დაუკავშირდნენ ამ გერმანული კლუბის მესვეურებს, ცხადია, სირაძეს სათანადო რეკლამაც გაუკეთეს, ასეთ დროს კი არცერთი საშუალო დონის გუნდი არ იტყვის უარს ნიჭიერი ბიჭის გასინჯვაზე, მით უფრო, თუ საშუაისებო საშუაისის აძლევს ამის საშუალებას. ერთიგაა, „უნიონს“ მეორე ხუნდესლიგიდან გაგარდნის საფრთხე ემუქრება და ბუნებრივია, მეორე წრის დაწყებამდე აუცილებელ ცვლილებებსაც ემუქრება და შესაძლებლობების დასამტკიცებლად ნამდვილად მისცემს შანსს სირაძეს. მერე კი, თუკი ჩვენებური მოიწონეს გერმანელებმა, საქმე უკვე ორ კლუბს შორის ფინანსური ურთიერთობის გარკვევამდე მივა, ასეთ დროს კი დაახლოებით იგივე პრობლემა დადგება, რაც დღეს „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ შორის არის შექმნილი სირაძესთან დაკავშირებით, თუმცა, რაღა თქმა უნდა, გერმანია საქართველო არ არის და იქაურ, თუნდაც მეორე ხუნდესლივის აუტსიდერს ქართველი ფეხბურთელის მოწონების შემთხვევა-

დავით სირაძის თბილისის „დინამოში“ გადასვლის საკითხი ჭიანჭურდება. არადა, დინამოელთა ხორვატი მწვრთნელი მის თავიდანვე წაყვანას, ყოველ შემთხვევაში, მოსკოვში გვიან შეერთებას მაინც გეგმავდა. ამასობაში კი ფეხბურთელი თბილისშია და ამჟამინდელ კლუბ „ლოკომოტივთან“ ერთად ვარჯიშობს

ში, რეალურად უფრო მეტი თანხის გადახდა შეუძლია, ვიდრე „დინამოს“. თანაც, თუკი „უნიონის“ დაინტერესება არ მოხერხდება, გერმანიაში ჩასულ სირაძეს სხვა რომელიმე გუნდში მოწყობის შანსი მაინც ექნება, რადგან გუნდები ამ ეტაპზე სასულეციო სამუშაოებით არიან დაკავებული და უცხოელი ფეხბურთელის გასინჯვაზე უარს არავენ იტყვის. როგორც ჩანს, ლოკომოტიველებმა ჩათვალეს, ცდა ბედის მონახვერეაო, თანაც სირაძის იმედიც აქეთ და ამიტომაც გუშინ რკინიგზელთა გენერალურმა მენეჯერმა ლევან ყიფიანმა გადაჭრით განაცხადა — სირაძის „დინამოში“ გადასვლა გამორიცხულია, ორ კლუბს შორის მოლაპარაკება ფაქტობრივად ჩაიშალა. ლევან ყიფიანს მიზეზიც არ დაუმალავს, „დინამოსთან“ ფინანსურ საკითხზე ვერ შევთანხმდითო.

„ლოკომოტივის“ მენეჯერმა ისიც გვითხრა, სირაძესთან დაკავშირებით „ფრაიბურგსაც“ შევეხმიანეთო, მაგრამ ბუნდესლიგელებმა თავაზიანი ბოდიში მოგვიხადეს, ვაკანსიები შევსებული გვაქვსო.

ბოლოს კი ის ვთქვათ, რომ ასეთ ვითარებაში ყველაზე არასახარბიელო სიტუაციაში თავად ფეხბურთელია, რადგან არაერთი მაგალითი გვასსოვს, ამა თუ იმ კლუბის მადას მოთამაშის კარიერა რომ გაუფუჭდება.

ბაბატა კვანტალიანი



პაპიაშვილი

„ლოკომოტივი“ წინ ვერც წითელ შუქს ხედავს, ვერც მწვანეს



პაპიაშვილი

ახალი წლის პირველსავე დღეს ვარჯიშზე მიღებულმა ტრავმამ საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველი ისევ სამკურნალო გახადა — კახა კალაძის ძლივს მოშუშებული ფეხი ისევ გაუმიზეზდა. მის უქმობაში კი „მილანმა“ წლეულს მიჯრით მეოთხე თამაში მოიგო, ბოლოს ბრეშაში, თანაც კალაძის კონკურენტ ჯუზეპე პანკაროს ერთადერთი გოლით. გუშინ ჩვენებურს მილანში დაუკავშირდით, ნათლისღება მივულოცეთ და, ცხადია, უპირველესად ჯანმრთელობაზე ვკითხეთ. ბოლოს კალაძის აზრით გავიგეთ, თუ რაზე, ქვემოთ...

# შეიძლება? კალაძის ბარბი!

— რა შედარებაა, ფეხი უკეთ მაქვს. ჯერ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, სამ დღეში კი გუნდს შევუერთდები.

— თამაშს როდისღა შეძლებ, ექიმები რას გუბუნებენ?

— ალბათ, კვირის ბოლოს სრულ მზადყოფნაში ვიქნები. კვირას „ანკონას“ ვმასპინძლობთ და შესაძლოა, ვითამაშო.

— ბრეშაში თუ ახლდი „მილანს“...

— არა, არ ვყოფილვარ.

— ისე, რთული მატჩი კი მოიგეტო, თანაც შენი კონკურენტის, პანკაროს გოლით...

— მთავარია, რომ მოვიგეთ და რა მნიშვნელობა აქვს, ვისი გატანილი გოლით, ჯუზეპე კარგი ბიჭი და ნამდვილი პროფესიონალია. მოკლედ, პერივით საჭირო სამი ქულა ავიღეთ.

— არასაფეხბურთო თემაზეც გკითხავ. ალბათ, გეცოდინება, ახლანან სახელმწიფო დროშა რომ შეიცვალა...

— ნამდვილად არ ვიცოდი. სამ-

წუსაროდ, ამ ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს იშვიათად ვადენებ თვალს.

— შინდისფერი ხუთჯვრიანი შეიცვალა...

— მართლა? ეგ ძალიან კარგია. გულწრფელად ვიტყვი, შინდისფერი არ მომწონდა. მას რომ ვუყურებდი, რაღაც ავისმომასწავებლის შეგრძნება მეუფლებოდა. ასე მეგონა, სულ მუდამ სისხლის და ომგამოვლილი ქვეყნის იმიჯი გექონდა. ახალი კი ძალიან მომწონს, სხვა თუ არაფერი, თეთრ ფონზე გამოსახულ ჯვარს რომ შეხედავ, გულს გაუხარდება.

— ეროვნული ჰიმნის შეცვლაზეც ალაპარაკდნენ. შოთა არვლაძემ, მაგალითად, თქვა, „დიდებას“ რომ ვუსმენ, ტანში ჟრუანტელი არ მივლის, გულს ვერ მიჩქროლებსო...

— ალბათ, ჰიმნიც შეიცვლება, ვნახოთ, უკეთესს რა სჯობია. ისე, ჰიმნი ჰიმნია და ნებისმიერ შემთხვევაში პატივისცემა უნდა.

გიორგი ვაშაძე

<b>იტალია</b>	<b>პორტუგალია</b>
სერია B. XXIII ტური	სუპერლიგა XVIII ტური
აველინო 0:0 კატანია	ავადორა 2:2 ბელენენსი
სერია C1/A. XIX ტური	ლეირია 0:0 გიფარაუზი
რიმინი 0:2 ლუმიცანო	
<b>ინგლისი</b>	
პრემიერლიგა. XXII ტური	
ნიუკასლი 3:1 ფულჰემი	









# ათას ერთი დაბა ვალეშვილი ბირჩს ზღაპრების არ სჯერა

მოგება და წაგება ძმები არ ყოფილან. „ლიდისს“ ბედი სწორედ რომ შედეგზე იყო დამოკიდებული. იორკშირული კლუბის მომავალი გასულ შაბათს უნდა გადაწყვეტილიყო. „ლიდისს“ სტუმრად „საუთჰემპტონს“ თუ მოუგებდა, გასაჯარუნ ზონას ოდნავ მოსწყვდებოდა და ლიდსლებს პოტენციური მყიდველები მოუმრავლებოდნენ. პირიქით მოხდა, ედი გრეის გუნდი დამარცხდა და კლუბის საქმეც გართულდა.

გუშინ, 19 იანვარს ფეხბურთის კლუბ „ლიდისს“ ულტიმატუმის ვადა ამოეწურა. მათ სპონსორი უნდა მოეძებნათ, რომელიც კლუბის ვალებს ნაწილობრივ გაისტუმრებდა და „ლიდისს“ გაკოტრებისგან გადაარჩენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიდსლები ადმინისტრაციული მართვის სადავეებში მოექცეოდნენ. ინვესტორი არ გამოჩნდა, მაგრამ „ლიდისს“ ჯერჯერობით ფინანსურად ცოცხალია. კლუბის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, 5 მილიონი ევრო, რომელიც გუნდს დროებით წაადგება, ნაშონია და ადმინისტრაციული მართვის ქვეშე გადაცემას გამოირიცხავს.

აღმასრულებელ დირექტორ ტრევეორ ბირჩს წინამორბედებისგან საშარო მემკვიდრეობა ერგო, თუმცა იგი იმედინადაა: „5 მილიონი ევრო სიცოცხლეს ოდნავ გავიხანგრძლივებს, „საუთჰემპტონთან“ მარცხმა ჩვენი გეგმები შეცვალა, მაგრამ ჯერჯერობით დანებებას არ ვაპირებთ. „ლიდისს“ ყიდვა შეიძლება აბდულრაჰმან ბინ მუბარაკ ან ხალიფას სურდა, მაგრამ მისი საგაზთო გამონათქვამებით ყველანი მსუყვედ გამოვიკ-

ვებით. ეს ლაილაი მორჩა. თუ ვინმეს ჩვენი დახმარება სურდა, ხელს აქამდე გამოვიწვევდით. ალხალიფას ფულის დათვლა გაზეთების ყოველდღიურ ნომერში არც თუ სასიამოვნოა. გასაგებია, რომ გარისკვა არავის სურს, რადგან „საუთჰემპტონთან“ მარცხის შემდეგ ჩვენი გავარდნის შანსი გაიზარდა. გავარდნილი გუნდის დაფინანსება კი ხეირს არავის მოუტანს“.


გაბა ხუციშვილი

## საპა მანჩესტერისკენ დაიძრა


„ფულემის“ თავდამსხმელმა ლუი საპამ თქვა, რომ ოცნება ახდა და მისი კლუბი თანახმაა 10,5 მილიონ გირვანქად „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაუშვას

### ლუი საპა

1973 წლის 8 აგვისტოს დაიბადა პარიზში.  
1991 წელს კონკურსში გამარჯვების შემდეგ ჩაირიცხა ლეგენდარულ კლერფონტინის ფეხბურთის აკადემიაში.  
1997 წელს ევროპის თვრამეტწლამდელოთა ჩემპიონატის ფინალში ოქროს გოლი გაიტანა.  
2000 წლის ივნისში „ფულემში“ გადავიდა: 2,1 მილიონ გირვანქად.  
2000-01 წლების სეზონში 32 გოლი გაიტანა ინგლისის 1 დივიზიონში და „ფულემი“ პრემიერლიგაში გადავიდა.  
2001 წლის 19 აგვისტოს პირველ პრემიერლიგურ მატჩში ორი გოლი გაუტანა „მანჩესტერს“.  
2001-02 წლის სეზონი მაინც უიღბლო გამოუვიდა და მხოლოდ 9 გოლი შეაგდო.  
2002-03 წლების სეზონი ასევე უიღბლო იყო, მხოლოდ შვიდი გოლი.  
წლეულს საპამ ძველი ფორმა დაიბრუნა — ერთ კვირაში ის „მანჩესტერის“ ფეხბურთელი გახდება.



ტრევეორ ბირჩი „ლიდისს“ გადარჩენის იმედს არ კარგავს



## დუგლასი დაახურდავენს

რა ილონონ გულშემატკივრებმა, როცა მათი გუნდი ლონდონ მეტოქესთან მარცხდება? მოედანზე ფეხბურთელების დასახმარებლად ვერ ჩავლენ, ამიტომ დახმარება ტრიბუნებიდანაც შეიძლება. საამისოდ საჭიროა ფანტაზია, მარჯვე ხელები და ხურდა ფულით სავსე ჯიბე.

შოტლანდიის ჩემპიონატის მო-


რივ ტურში, ლიდერი ვლახოს „სელტიკი“ „ჰარტისს“ ესტუმრა და იქაურები 1:0 დაამარცხა. „სელტიკისგან“ მინიმალური ანგარიშით მარცხი ზოგიერთი გუნდისთვის სასიხარულოა, მაგრამ ალბათ არა ჰართსელისთვის.

მატჩის მსვლელობისას მასპინძელთა ფანებმა ტრიბუნებიდან მეტოქე ფეხბურთელებს მონეტები დაუშინეს. ერთ-ერთი ნასროლი „ყუმბარა“ „სელტიკის“ მეკარე რობერტ დუგლასს თავში მოხვდა.

შოტლანდიური პოლიცია ჩვენებურთაგან იმით განსხვავდება, რომ ხურდის სროლაში შემჩნეულებს უმაღლეს დარღვევებს 28 კაცი გაააწერეს და სტადიონიდან გაათრევს.

ამის შემდეგ ისინი განყოფილებაში მიაბრძანეს. 28 დაკავებულს შორის იყო „სნაიპერი“, რომელმაც დუგლასის თავს კარგად დაუმიზნა. მიუხედავად დაკავებისა და დაკითხვისა, „სნაიპერი“ მალევე გაუშვეს სამხილების არარსებობის გამო, მაგრამ გულშემატკივართა ჯგუფის ხულიგნობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

გაბა ხუციშვილი



ფრანგი მეგობრე „მანჩესტერის“ უპირველესი სატრანსფერო სამიზნე იყო საიანერო ფანჯარაში და რამდენიმეკვირიაანი მოლაპარაკების შემდეგ კლუბები შეთანხმდნენ. თავიდან „ფულემმა“ მტკიცედ უარყო „მანჩესტერის“ შეთავაზებული თანხა, თუმცა, ახლა საქმე გაჩარხულია და ხელშეკრულება ამ კვირაში შედგება. საპამ თქვა: „ბედნიერი ვარ. ამ მჯეროდა, თუ ტრანსფერი გამოვიდოდა. ახლა, მგონი, ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ ინგლისში. „ოლდ ტრეფორდი“ იღლიანი ადგილია ჩემთვის. ჩემს პირველ პრემიერლიგურ თამაშში იქ ორი გოლი გავიტანე, „ფულემში“ თავს საუცხოოდ ვგრძობ, მაგრამ ვინ იტყვის უარს მსოფლიოს უდიდეს კლუბში ძალის მოსინჯვაზე? ჩემპიონთა ლიგაში თამაში და საფეხბურთო ჯილდოები მიხდა. თვეზე მეტია ამ გადასვლას ველოდები. ვიცი, რომ ეს „იუნაიტედში“ გადასვლის უკანასკნელი შანსი იყო, ივნისში ისინი სხვას იყიდნენ“.

საპა სულაც არ ნერვიულობს იმაზე, რომ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ბრძოლა მოუწევს.

„ყველა დიდ კლუბში ასეა, — ამბობს ის — მე ვეთანხმები ამგვარ მიდგომას. უბრალოდ, მინდა, რაც შეიძლება მეტი ვითამაშო“.

„ფულემის“ საკლუბო ვებ-გვერდმა დაადასტურა, რომ ორმა კლუბმა შეთანხმებას მიაღწია საპას ტრანსფერის რიგ საკითხებზე.

„მანჩესტერი“ ახლა დუბაიშია ორიოდ დღით, კვირის ბოლოს კი ასოციაციის თასის თამაში აქვს „ნორჰემპტონთან“. საპას საქმე ამ კვირაში რომც მოესწროს, ამ სათასო თამაშზე მაინც ვერ გამოვა, რადგან „ფულემთან“ ერთადაც უთამაშია წლევეანდელ თასზე.

მანჩესტერელებს ფრანგი უფრო ჩემპიონთა ლიგისთვის სჭირდებათ. ამ სეზონის რაგინდარა შეჯიბრებებში საპამ 15 გოლი გაიტანა, „ფულემი“ კი მეექვსე ადგილზეა.

ირაკლი ბაგჩელიძე

### გაგაბია

იუპილერლიგა. XVIII ტურში

ლუპია ჩი ვისტარლო

1:0 მარსი (14), 1:1 პაასი (38)						
ანდერლახტი	18	16	1	1	47:14	49
სტანდარდი	18	12	3	3	37:16	39
გენტი	18	10	4	4	36:21	34
მუსკრონი	18	8	7	3	35:22	31
ბრიუგე	18	8	4	6	32:23	28
სენტ ტრუიდენი	18	7	6	5	22:23	27
ვესტ	18	6	8	4	21:16	26
ვესტერლო	18	6	7	5	20:24	25
ბევერენი	18	8	0	10	25:29	24
ბეერსბოტი	18	6	5	7	16:21	23
ლუვიე	18	4	9	5	22:23	21
ლიერსი	18	4	8	6	18:21	20
სერკლი	18	4	8	6	15:24	20
მონსი	18	3	7	8	17:27	16
ლოკერენი	18	4	4	10	20:31	16
ჰეუსდენი	18	4	4	10	17:30	16
შარლერუა	18	2	6	10	10:20	12
ანტვერპენი	18	3	3	12	12:37	12

### მეხიგა

კლავსურა. I ტურში

პაჩუა — ვერტარო 2:2; ამერიკა — უნამი 1:1; ატლანტი — ტოლუკა 0:1; ტეკოსი — ვერაკრუსი 3:2; სანტოს ლაგუნა — გვადალახარა 0:1

### ამხანაგური მატჩი

აგუ ჩი დანია  
0:1 როლ-ლარსენი (27), 1:1 დონოვანი (76)



# კარგი იყო, უკეთესი უიქლებოდა

## ედვარ ლავიდსის პირველი ყვითელი



**ჰოლანდიელი** ედვარ ლავიდსი კატალონიურ „ბარსელონაში“ თავისი სადებიუტო მატჩით საკმაოდ კმაყოფილი ჩანს. მატჩის ვეტერანი ნახევარმცველი ახალ თანაგუნდელებთან ერთად „კამპ ნოუსზე“ სტუმრად ჩასულ ბილბაოს „ატლეტიკს“ გავისარჯე და მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული შეხვედრა ფრედ — 1:1 დასრულდა, ლავიდსმა მაინც დადებითად შეაფასა საკუთარი თუ დანარჩენი თანაგუნდელების თამაში. „არცთუ ისე ცუდად გავისარჯე და სადებიუტო მატჩიც შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, შემდგომში გაცილებით უკეთესი თამაშები მექნება. გუნდი უდავოდ ძლიერი ფეხბურთელებითა და კომპლექტებული, რაც საშუალებას მძლევს, „ბარსას“ სამომავლო მიღწევებზე ვიფიქრო“ — დამაჯერებლად განაცხადა „იუვენტუსის“ ყოფილმა მეომარმა კატალონიურ „სპორტთან“ ინტერვიუში.

ლავიდსმა მთელი 90 წუთი ითამაშა და ამ ხნის განმავლობაში უქმად ნამდვილად არ გაჩერებულა — იერიშზე გადასული ბასკები მრავალჯერ გაანაწყენა ბურთის წართმევით, გააკეთა რამდენიმე ზუსტი პასი და მისი შეტევებით გაბეზრებულ „ატლეტიკს“ „ბარსას“ სასარგებლოდ ჯარიმები გამოსტყუა. ალბათ

იმასაც ვერ ვიტყვით, რომ „პიტბული“ იდეალურად ირჯებოდა, რამეთუ ჰოლანდიელის „ნეგატიურ მარაგს“ 10 უშედეგო გადაცემა და ექვსჯერ თამაშის წესების დარღვევა შეემატა. „კამპ ნოუს“ პეიჯის მიწურულს კი არა ბიტრისგან ყვითელი ბარათიც მიიღო (ბობოქარ ზნეს რაღა შეუცვლის). თუმცა თავად ედვარი მსაჯის გადაწყვეტილებას მცდრად მიიჩნევს: „ვიტორ ტორესთან საფინანსო სასტვენის მერე მივედი და როგორც ორმა პროფესიონალმა, ისე განვიხილეთ მომხდარი ეპიზოდი. მას ვუთხარი, რომ ყვითელი ბარათის მიღებას არ ვიმსახურებდი“.

„სპორტთან“ სადებიუტო მსჯელობის დასასრულს, ჰოლანდიელმა ჯერ „ბარსელონაზე“ გადაკიდებული ავი ფორტუნა გალანდლა, ხოლო შემდეგ საამსეზონო ჯილდოთა მოპოვების თავისებურ-ჯიქური რეცეპტიც გაამხილა.

„ბილბაოსთან“ ბედმა გვიღალატა, თორემ აუცილებლად დიდი ანგარიშით გავიმარჯვებდით. საერთოდ კი უნდა ვეცადოთ, უახლოესი მატჩები უხვეგოლიანი მოგვებით დავმთავროთ — ჩვენს კლუბს პრიმერაში შეყვებული პოზიციების სასწრაფოდ აღდგენა სჭირდება“.

**ლადო ხომერიძე**

# სიტყვა სიტყვაა რონალდოს 50 მეფური გოლი



**როგორც ჩანს**, რონალდო სეზონის წინა დაპირებას შეასრულებს. თუ განსოვთ, ბრაზილიელმა შარშან აგვისტოში თქვა, ამ სეზონში 35 გოლი უნდა გაიტანო.

სეზონის შუაწელში, „ბეტისთან“ პრიმერადივიზიონის ტურის გუშინწინდელ შეხვედრაში რონალდომ საამსეზონო მეოცე გოლი გაიტანა. ამ ოციდან 15 ესპანეთის ჩემპიონატისაა. მეოცე საიუბილეო გოლი კი სხვა მხრივაც საიუბილეო გამოდგა — რაც „რეალში“ გადავიდა, ეს რიგაღლოს 50-ე გოლიც იყო.

„იმედი მაქვს, დანაპირებს შევასრულებ და 35-მდე ავალ. იმისი იმედიც მაქვს, რომ „რეალის“ მაისურით 100 გოლის დაგროვებასაც შევძლებ“ — თქვა რონალდომ.

ეგვი გაიტანოს კიდევ მაგრამ უახლოეს ორ კვირაში ბრაზილიელს ზინედინ ზიდანის უზუსტესი პასების იმედი არ უნდა ჰქონდეს. „ბეტისთან“ შეხვედრაში ზიდანმა რონალდოს საგოლე პასი გაუზერა, თამაშის მერე კი, წამოტყვიებული ფეხის შემოწმებისას, ექიმებმა მას ორკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს.

ამ ორ კვირაში „რეალს“ სამეფო თასის ორი მეოთხედფინალური შეხვედრა აქვს გასამართი „ვალენსიასთან“ და ერთიც პრიმერადივიზიონისა.

**კობე კაპელია**

კარლეს რექსაჩი „ბარსელონასთან“ თანამშრომლობის დროს ერთმანეთს ორ საპასუხისმგებლო თანამდებობას უთავსებდა — ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი და იმავდროულად მისი გულმემატკივრის „ნერვთამულეტი“ გახლდათ. კატალონიური ვრანდის მთელ მსოფლიოში გაფანტული ინჩადა საყვარელი გუნდის უღებლობაში ძირითადად სწორედ ამ წარმოსადეგ სენიორს სდებდა ბრალს და უნდა ითქვას, რომ არცთუ უსაფუძვლოდ. ახლა კი, გარკვეული ჟამთაგვის შემდეგ, „ბარსას“ უკვე ექსმწვრთნელს თავისუფლად შეუძლია ოლიმპიური სიმშვიდით ილაპარაკოს არა საკუთარ, არამედ „კამპ ნოუს“ დღევანდელ თავკაცთა მეცდომების შესახებ. რექსაჩს „ელ მუნდო დეპორტივო“ ესაუბრა

# რემსანმა ბარსასთვის სამეფო თასი გაიმეტა

— 2003-04 წლების პრიმერას პირველი წრე დამთავრდა. თქვენი აზრით, რა არის „ბარსელონას“ სადღეისო რთული სიტუაციის მთავარი მიზეზი?

— შინ, საკუთარ სტადიონზე ამდენი მატჩის ვერმოგება. ასე რომ არ მომხდარიყო, ახლა უეჭველად სატურნირო ცხრილის ლიდერთა შორის ვიქნებოდით.

— შეგიძლიათ გულახდილად გვითხრათ, რას ფიქრობთ ფრანკ რაიკარდის შესახებ?

— კარგი მწვრთნელია, მაგრამ „ბარსას“ განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება და დირექტორთა საბჭოც მეტისმეტად მკვეთრად ერევა მწვრთნელის საქმიანობაში. მეჩვენება, რომ რაიკარდი ამდენმა სირთულემ საკმაოდ დააბნია კიდევ.

— ჰოლანდიელის „ბარსა“ რა სისტემით თამაშობს?

— ჩვენებს ბევრი საფეხბურთო განლაგებით შეუძლიათ თამაში, მაგრამ დღეს „კამპ ნოუსზე“ სრული გაურკვევლობაა. ალბათ დრო სჭირდება რამდენიმე გამოკვეთილი სტრატეგიის გამოჩენას.

— ჩნდება შთაბეჭდილება, რომ თქვენს ყოფილ გუნდს მხოლოდ „მეორეხარისხოვან“ „ოსასუნასთან“ ან „ვილიარეალთან“ შეუძლია მეტოქეობა. აი, რაც შეეხება „რეალთან“, „დეპორთან“ და „ვალენსიასთან“ ჭიდილს...

— ნებისმიერ გუნდს თავისი მიზანი უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, „ბარსელონას“, რომლის ტრადიციისთვისაც უცხოა ამდენ ხანს, ვერუთ წოდებულ, „გარდატეხის“ ასაკში ყოფნა. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ოდენ ოთხეულში მოხვედრას თუ დაგვეგმათ, სხვა დანარჩენის რა მოგახსენოთ.

— რუშთუ ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება. უმუშევრად დარჩენილ მეკარეს თურქეთში დაბრუნებას ურჩევდით?

— ვერაფერს გეტყვით, მძიმე სიტუაციაა. თან რუშთუს პრობლემებს მისი არავეროკავშირელობაც აძნელებს. ვთვლი, რომ „ბარსელონას“ კარი ამ გამოცდილი მოთამაშისთვის საბოლოოდ დაიხურა.

— ანუ ზორკერა-ვალდესის „წყვილი“ უკონკურენტოა?


— ჩემს დროს ორი კარგი მეკარე გყავდა — რენა და ივივე ვიტორ ვალდესი. თუმცა ალბათ ზორკერაც მოახერხებს „კამპ ნოუს“ ღირსების დაცვას. ყოველ შემთხვევაში, მინდა, ასე მოხდეს.

— იმ ძველ დროს ედვარ ლავიდსს გუნდში მოიყვანდით თუ არა?

— თავისი საფეხბურთო თვისებების მართლაც გამორჩეული ოსტატია, მაგრამ... ადგილობრივი ძალებითაც შეიძლებოდა პრობლემების გადაჭრა. მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— ზავიერ სავიოლამ თქვენი ხელმძღვანელობით უფრო მეტი მატჩი ჩაატარა, ვიდრე სხვა დანარჩენ მწვრთნელებთან...

— გოლიც ბევრი შეაგლო. ახლა კი ნაკლებად აძლევენ თავის გამოჩენის საშუალებას.



— „ბარსელონა“ რონალდინიოს პლუს 10 კაცია თუ პირიქით?

— რონალდინიო ფანტასტიკური ფეხბურთელთა და მეც ძალიან მომწონს, მაგრამ ერთ კაცზე მთელი გუნდის დაფუძნება არაფერ სიკეთეს არ მოგვიტანს.

— რაიკარდს თქვენეული გამოცდილებიდან რას უწილადებდით?

— საკუთარ სამწვრთნელო სტილს არ უღალატოს და სხვა, თუნდაც კლუბის მაღალი ჩინოვნიკების მითითებანი გულთან ახლოს არ მიიტანოს. რა თქმა უნდა, იტყვი, რომ რჩევის მიცემა ყოველთვის ადვილია, მაგრამ მე ახლა სხვა არაფერი შემიძლია.

— და ლაპორტა? მას რაღას ეტყოდით?

— ზუან ლაპორტას ოპტიმიზმი ისედაც საკმარისი აქვს, თუმცა ვეტყვი, რომ მიუხედავად საამსეზონო ჩავარდნებისა, მომავალს მაინც იმედით შეხედოს.

— გახდება მადრიდის „რეალი“ პრიმერას ჩემპიონი?

— რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, საბოლოოდ ამ ტიტულისთვის ისევე „ვალენსიასთან“ მოუწევს დაჯახება. კერაუს კი ბენიტესის ბიჭებზე უფრო მეტი მანია გააჩნია.

— სამეფო თასის თქვენეული ფავორიტც გავიხილეთ...

— „ბარსელონა“. კოპა დელ რეი ჩვენთვის კარგად დაიწყო და ამ გათამაშებასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. არ დაგავიწყდეთ — ჩემი ძველი გუნდი ხშირად სთავაზობს მეტოქეებს „სასაიმონო“ სურპრიზს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სამეფო თასის დარ ტურნირს ეხება.





# სარბიელი & კროკო

## წარმოებიდან

1 X 2 1-X 1-2 X-2							1 X 2 1-X 1-2 X-2										
23.45	001	ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური 21 იანვარი	4,0	3,2	1,85	1,77	1,26	1,17	ინგლისი. ლიგის თასი 1/2 ფინალი. I მატჩები 20 იანვარი								
23.45	029	ინგლისი. II დივიზიონი. XXII ტური 20 იანვარი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46	23.45	247	არსენალი-მიდლსბრო	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
23.45	054	ინგლისი. კონფერენსი. XXVI ტური 20 იანვარი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19	24.00	248	ბოლტონი-ასტონ ვილა	2,2	3,1	3,1	1,28	1,28	1,55
23.45	083	შოტლანდია. II დივიზიონი. XIX ტური 20 იანვარი	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62	შოტლანდია. თასი. II ეტაპი 21 იანვარი								
21.00	130	საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური 21 იანვარი	1,5	3,3	8,0	1,03	1,26	2,33	20.30	250	პარმა-ლაციო	2,25	3,1	3,0	1,3	1,28	1,52
23.00	131	პოლანდია. I დივიზიონი. XIV ტური 21 იანვარი	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41	20.30	251	ინტერი-უდინეზე	1,45	3,6	7,0	1,03	1,2	2,37
23.00	157	რომანია. I დივიზიონი. XIV ტური 21 იანვარი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13	24.00	252	იუვენტუსი-პერუჯა	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
							იტალია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები 20 იანვარი										
							22 იანვარი										
							23.45 253 რომა-მილანი 2,15 3,0 3,3 1,25 1,3 1,57										

### სარბიელი

### სკოტული ლატარია



### კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქებში სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

### კროკოს ბიუროთა მისამართები

<b>თბილისი</b>	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	1 სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძისთან“ (ყოფილი „დელისი“)
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	ნერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი №41	
	გამსახურდიას გამზირი №3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იონანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალაუზნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
<b>ქუთაისი</b>	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა №27	
	ჭავჭავაძის №67	ცენტრალური ავტოსადგური
<b>ბორი</b>	სტალინის ქუჩა №14	
<b>თელავი</b>	კოსტავას ქუჩა №23	
<b>ხელვაჩაური</b>	აღმაშენებლის ქუჩა №50	
<b>მარნეული</b>	რუსთაველის ქუჩა №39	
<b>ოზურბეთი</b>	გურიის ქუჩა №23	
<b>ბურჯანანი</b>	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
<b>ფოთი</b>	რკალი, რუსთაველის №18	
<b>საბარეჯო</b>	დავით აღმაშენებლის №30	
<b>სამგრაღია</b>	რუსთაველის გამზირი №27	
<b>ხაშური</b>	რუსთაველის ქუჩა №16	
<b>წნორი</b>	სტალინის ქუჩა №1	
<b>ბორჯომი</b>	რუსთაველის ქუჩა №145	
<b>ზესტაფონი</b>	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
<b>ახალციხე</b>	ნათენაძის ქუჩა №7	












# პირველი მოგება


გასრულდა ავსტრალიის ღია პირველობის პირველი რაუნდი და ტაილანდელმა პარადორნ შრინაბანმა პირველი რაუნდიც მოიგო. მისი მეტოქე არგენტინელი ხოსე აკასუსო იყო. ტაილანდელის მოქნილობა ხომ ისედაც ცნობილია და ეს ფოტოც ამას ვეიდანსტურებს. პარადორნმა ისე ამოჭრა ძნელ ბურთს, რომ ფეხთაშუა გამოიტანა და ასე გადაიარჩინა თავი.



REUTERS მეტაბურნიდან



REUTERS პავანადან




REUTERS შანაიდან

## ნახტომი ჰავაიში


რახან პავანა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე წარდგა, ერთი იქაურ სტადიონებსაც შევხვდით. აი, როგორ ვარჯიშობს ოლიმპიური ჩემპიონი სივრცეზე სტიმპში ივან პედროსო. მისი მწვრთნელი მილან მატასი კი ნახტომს ყურადღებით აკვირდება. პედროსო მზადმყოფი ვაეზვანდება ათენის ოლიმპიადაზე, ბოლო წელიწადს მას ტრავმა ჰქონდა, რომელიც პარიზში, მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღო.

## ჩინური ფორგულა

ასე შენდება შანხაიში საფორმულე ადგილი. უკვე მაისში საზეიმო გახსნა გაიმართება, 26 სექტემბერს კი ისტორიაში პირველად გათამაშდება ჩინეთის დიდი პრიზი. ჩინურ მშენებლობათა მასშტაბი მართლაც შესაშურია ხოლმე.



REUTERS შანაიდან



REUTERS დავაროდან

## მოგება პანკო

მტვერი დიდხანს ასდიოდა უდაბნოს. ახლა კი უკვე ვიცით, რომ ეს თრი ფრანგი, სტეფან პეტერჰანსელი (მარჯვნივ) და ფანბოლ კოტრე იმ მანქანას მართავდნენ, რომელმაც წლეუანდელი პარიზ-დაკარის რბოლა მოიგო.

**სარბიელი**  
საორტული გაზეთი

გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან

გამოდის ორგანოს,  
სამშობლოს, ოთხგანობის,  
სუთხაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ჯორჯა ურცხვირია  
დირექტორი ბიორგი ოპრომპაქალიძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ვაშაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ერადე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე  
ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლიჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევიძე, ფატი დვალისძე, მაგდა დოვრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ვახუშტის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbli.com.ge>